საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 58 17/11/2017

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ სარგებლობის უფლებით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით არსებობის ვადით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ნადაბურში მდებარე საბავშვო ბაღის შენობა-ნაგებობის N01/1-215,02 კვ.მ , N02/1-19,72 კვ.მ (ს/კ36.20.33.047) და მასზე დამაგრებული 1155,00 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ“ ქვეპუნქტის , 122–ე მუხლის მე-4, მე-6 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის # 669 დადგენილების ,, მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების,სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ 22 - ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1.მიეცეს თანხმობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს გადაცეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს „ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებას“ სარგებლობის უფლებით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით არსებობის ვადით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ნადაბურში მდებარე საბავშვო ბაღის შენობა-ნაგებობის N01/1-215,02 კვ.მ , N02/1-19,72 კვ.მ (ს/კ36.20.33.047) და მასზე დამაგრებული 1155,00 კვმ არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180 –ე მუხლით დადგენილი წესით.

მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე